

The Laz Nahiye in the Batumi Sanjak in the Early 18th century
ლაზის ნაჰიე ბათუმის სანჯაყში XVIII ს-ის დასაწყისში¹

ZAZA SHASHIKADZE

Doctor of history.

Professor of Shota Rustaveli Batumi State University,
32/35 Rustaveli/Ninoshvili st. Batumi, 6010, Georgia,
+995 577999767 zaza.shashikadze@bsu.edu.ge

ORCID ID: [0000-0002-5406-577X](https://orcid.org/0000-0002-5406-577X)

Abstract:

In the Republic of Turkey, in the city of Ankara, numerous documents of great importance for the history of Georgia are preserved in the archive of the General Directorate of Land Registry and Cadastre. Among them are the "Exstensive Register (Defter) of Liva of Batumi" and the "Short Register (Defter) of Liva of Batumi" from the early 18th century. Analysis of this documents reveals multiple previously unknown and noteworthy facts. At that time, the Batumi Liva encompassed the territory of present-day Batumi and fourteen surrounding villages; the settlements stretching from the Black Sea estuary up the Chorokhi Valley as far as Borçkha, as well as the villages along the Black Sea coastal strip of historical Chaneti/Lazeti up to the area of Atina (modern Pazar in Rize Province). Administratively, beyond the outskirts of the city, it included the nahiyes (districts) of Arhave, Atina, and Hemshin.

The research paper provides an extensive analysis of the information relating to the Arhavi Nahiye. It presents the contemporary toponymy, which is entirely Laz—that is, Kartvelian. It reconstructs the demographic and religious landscape: in more than 70 populated places there were up to 3,000 households, with an estimated population of about 18,000 inhabitants. More than half of the population was Christian. Ethnically, they were Laz. They paid various types of taxes, including those characteristic of Christian subjects—ispence (a poll tax levied specifically on non-Muslims), as well as taxes on pigs, wine, and beehives.

Christian Laz in the Ottoman Empire were subordinated to the Greek (Orthodox) Church; therefore, the conditions of land tenure here resemble those of the Balkans. A large number of *baştina* (a form of hereditary landholding) is recorded, a phenomenon not encountered in the Georgian provinces of the Empire.

Among the population, Laz hereditary names with suffixes such as -va, -ia, -shi, -ani, -skiri, and others are preserved, indicating that in the medieval Black Sea region there existed a unified Mingrelian-Laz ethnosocial and ethnolinguistic space. This space was characterized by similar patterns of hereditary name formation and survived at least until the eighteenth century.

Key words: Batumi, Defter, Lazeti, Arhave, Tax, hereditary names.

¹ სტატია მომზადდა და იბეჭდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული #HE 22-766 გრანტის ფარგლებში (This article has been prepared and is published within the framework of grant #HE 22-766, funded by the Shota Rustaveli National Science Foundation.).

ზაზა შაშიკაძე,

ისტორიის დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორი,

საქართველო, ბათუმი, 6010

რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35

+995577999767 zaza.shashikadze@bsu.edu.ge,

ORCID ID: [0000-0002-5406-577X](https://orcid.org/0000-0002-5406-577X)

აბსტრაქტი:

თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ანკარაში, მიწისა და კადასტრის მთავარი სამმართველოს არქივში ინახება საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი არაერთი დოკუმენტი. მათ შორის არის XVIII ს-ის დასაწყისის „ბათუმის ლივის ვრცელი“ და „ბათუმის ლივის მოკლე“ დავთრები. დოკუმენტების ანალიზი არაერთ დღემდე უცნობ და საინტერესო ფაქტს გვაცნობს. აღნიშნულ პერიოდში ბათუმის ლივა მოიცავს დღევანდელ ქალაქ ბათუმის ტერიტორიას და მის შემოგარენში მდებარე თოთხმეტ სოფელს, ზღვის შესართავიდან ჭოროხის ხეობის აყობებაზე მდებარე სოფლებს ბორჩხის ჩათვლით და ისტორიული ჭანეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლის სოფლებს ათინას (ახ. Pazar – რიზეს ილში/პროვინციაში) ტერიტორიის ჩათვლით. ადმინისტრაციულად, ქალაქის შემოგარენის გარდა შედის არჰავეს, ათინას და ჰემშინის ნაჰიები (რაიონები).

სტატიაში ფართოდ არის გაანალიზებული ცნობები არჰავეს ნაჰიეს შესახებ. მოცემულია იმდროინდელი ტოპონიმის, რომელიც მთლიანად ლაზური ანუ ქართველურია. აღდგენილია დემოგრაფიული და რელიგიური სურათი. 70-ზე მეტ დასახლებულ პუნქტში 3000-მდე კომლია, სადაც დაახლოებით 18 ათასი კაცი უნდა ცხოვრობდეს. ნახევარზე მეტი მოსახლეობისა ქრისტიანულია. ეთნიკურად ლაზები არიან. იხდიან სხვადასხვა სახის გადასახადს, მათ შორის ქრისტიანებისთვის დამახასიათებელს – ისფენჯს, გადასახადს ღორზე, ღვინოზე და არყის სახდელზე.

ქრისტიანი ლაზები ოსმალეთის იმპერიაში ბერძნულ (მართლმადიდებლურ) ეკლესიას ექვემდებარებოდნენ, ამიტომაც აქ ბალკანეთის მსგავსი მიწათმფლობელობის პირობებია. დიდი რაოდენობით ფიქსირდება ბაშთინა, რასაც იმპერიის ქართულ პროვინციებში ვერ ვხვდებით.

მოსახლეობაში შემორჩენილია -ვა, -ია, -ში, -ანი, -სკირი და სხვა სუფიქსიანი ლაზური მემკვიდრეობითი სახელები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ შუასაუკუნეების შავიზღვისპირეთში არსებობდა ერთიანი მეგრულ-ლაზური ეთნო სოციალური და ეთნო-ლინგვისტური სივრცე, სადაც მემკვიდრეობით სახელწოდებათა მსგავს წარმოებასთან გვევლინა საქმე და, რომელმაც სულ მცირე XVIII ს-მდე მოაღწია.

საკვანძო სიტყვები: ბათუმი, დავთარი, ლაზეთი, არჰავე, გადასახადი, მემკვიდრეობითი სახელები.

შესავალი:

სამხრეთ საქართველოს და ლაზეთის ისტორიის შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებში ძალიან მწირი ინფორმაცია გვხვდება და ამ სიცარიელის ამოსავსებად თურქეთის რესპუბლიკის არქივებსა და წიგნსაცავებში დაცულ ოსმალური დოკუმენტურ მასალას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

არჰავე აღმოსავლეთ ჭანეთის/ლაზეთის ნაწილია. მისი წარსული, ისევე როგორც მთლიანი ლაზეთისა, მჭიდროდ არის დაკავშირებული ძველი კოლხეთის ისტორიასთან. ლაზების, როგორც ერთ-ერთი ქართული ტომის წარსულის ნებისმიერი პერიოდის ისტორიული, ეთნოლოგიური, ლინგვისტური თუ სხვა მიმართულებით კვლევა, ვფიქრობთ ერთგვარ წვლილს შეიტანს იმ საერთო ისტორიის გაშუქების საქმეში, რაც ყოველთვის აქტუალური იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში.

წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტები - ბათუმის ლივის დავთრების სახით შეიცავს უმდიდრეს ინფორმაციას აღნიშნული კუთხით. ამიტომაც მისი დამუშავე და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა ვფიქრობთ აუცილებელი საქმეა, რომელიც დიდ ინტერესს გამოიწვევს.

მეთოდები:

წინამდებარე ნაშრომში დამუშავებულია და კრიტიკულად არის გაანალიზებული საქართველოს ისტორიისათვის ორი უმნიშვნელოვანესი ოსმალური ხელნაწერი დოკუმენტი - „ბათუმის ლივის ვრცელი“ და „ბათუმის ლივის მოკლე“ დავთრები. მოცემული საკითხის კვლევის დროს გამოყენებული იქნა ისტორიული შემეცნების და შედარებითი ანალიზის მეთოდები; ასევე დამუშავებული და გაანალიზებულია საკვლევ თემასთან დაკავშირებული ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა, რომელთა გათვალისწინება და შედარება მნიშვნელოვანია მოვლენათა ზუსტი და ობიექტური შეფასებისათვის.

სტატიაში თანმიმდევრულად არის გადმოცემული ის მნიშვნელოვანი და აქამდე უცნობი ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს აღნიშნული საარქივო დოკუმენტები.

სტატია შეიცავს ისეთ სიახლეებს, რომელიც დღემდე უცნობია სამეცნიერო საზოგადოებისთვის და ავსებს რეგიონის ისტორიას. დოკუმენტები დღემდე არ არის დამუშავებული არც თურქული სამეცნიერო საზოგადოების მიერ. ამგვარად, მოცემული ცნობები თურქული ისტორიოგრაფიისთვისაც სიახლეა.

შედეგები:

კვლევის შედეგად დგინდება არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არ იყო ცნობილი და საკმაოდ დიდ სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენდა. XVIII ს-ის პირველ წლებში ბათუმი და მისი შემოგარენი საბოლოოდ დაიპყრო ოსმალთა იმპერიამ. ბათუმის ადმინისტრაციულ - ლივის (იგივე სანჯაყის/სადროშოს) ცენტრად გამოცხადდა, რომელიც მოიცავდა დღევანდელ ქალაქ ბათუმის ტერიტორიას და მის შემოგარენში მდებარე თოთხმეტ სოფელს, ზღვის შესართავიდან ჭოროხის ხეობის აყოლებზე მდებარე სოფლებს ბორჩხას ჩათვლით და ისტორიული ჭანეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლის სოფლებს ათინას ჩათვლით. ადმინისტრაციულად, ქალაქის შემოგარენის გარდა შედიოდა არჰავეს, ათინას და ჰემშინის ნაჰიები (რაიონები).

სტატიაში ვრცლად არის შესწავლილი და გაანალიზებული ხსენებულ დავთრებში დაცული ინფორმაცია. დადგენილია არჰავეს ნაჰიეს ტოპონიმიკა, დემოგრაფიული და რელიგიური სურათი. შესწავლილია გადასახადები.

გამოვლენილია -ვა, -ია, -ში, -ანი, -სკირი და სხვა სუფიქსიანი ლაზური მემკვიდრეობითი სახელები (გვარები), რაც გვაძლევს საშუალებას დასკვნისა, რომ გვიან შუასაუკუნეებში და შემდგომშიც არსებობდა ერთიანი მეგრულის მსგავსი ლაზური ეთნო-სოციალური და ეთნო-ლინგვისტური სივრცე, სადაც მემკვიდრეობით სახელწოდებათა ერთნაირ წარმოებასთან გვქონდა საქმე. აღსანიშნავია, რომ მოცემული პერიოდის რეგიონის ისტორიის შესახებ მსგავსი მოცულობის ინფორმაცია არ ყოფილა სამეცნიერო განსჯის საგანი.

მსჯელობა:

არჰავე აღმოსავლეთ ჭანეთის/ლაზეთის ნაწილია. ამჟამად ართვინის პროვინციის (İl) ერთ-ერთი რაიონია (İlçe) რიზეს მოსაზღვრედ². მისი წარსული, როგორც მთლიანი ლაზეთისა, მჭიდროდ არის დაკავშირებული ძველი კოლხეთის ისტორიასთან.

ოსმალთა მიერ არჰავეს დაპყრობის შესახებ ქართული წყაროებიდან შეიძლება შევიტყოთ შემდეგი: „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, რომ, რადგან სოხოისტას ბრძოლაში გურიელი გვერდში ედგა იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს (1510-1565), შემდეგ, შურისძიების მიზნით, 1547 წელს ოსმალები თავს დაესხნენ მას (ქართლის ცხოვრება, 1959: 360). ანალოგიურ ცნობას გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილიც (ვახუშტი, 1973: 814).

მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატმა დახმარება ვერ გაუწია გურიელს, ამ უკანასკნელმა მაინც მოახერხა ოსმალთა შემოტევის დაძლევა. შეკრიბა ჯარი და ოსმალები განდევნა ბათუმიდან. მტერი ზღვიდან ნავებით უკან გაბრუნდა. თუმცა, ადიდებული ჭოროხის გამო ქართველებმა ცხენებით ვერ შეძლეს მდინარის გადალახვა და ოსმალთა დადევნება. მტერმა გონიოს მიაღწია და ციხის გამაგრება დაიწყო, რის შემდეგაც მას წაართვეს ჭანეთი (ქართლის ცხოვრება, 1959:360). აქ იგულისხმება აღმოსავლეთ ჭანეთი არხავეს ჩათვლით, რომელიც იმ დროს გურიელის გავლენის სფეროში იყო.

აღსანიშნავია, რომ ამ დროიდან მდინარე ჭოროხის შესართავიდან სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორიები ოსმალეთის იმპერიის დაქვემდებარებაში გადავიდა. ხოლო ჩრდილოეთი (დღევანდელი ბათუმი მიმდებარე ტერიტორიებით) ისევ გურიელის დაქვემდებარებაში რჩებოდა და ბრძოლების შედეგად, დიდი ხნის განმავლობაში ინაცვლებდა ხან ერთის და ხან მეორის მფლობელობაში.

ადრეული პერიოდის ოსმალური წყაროების ანალიზი ნათლად გვაჩვენებს, რომ არჰავე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ბათუმის სნაჯაყის შემადგენლობაში შედიოდა. რაც შეეხება ბათუმს, აქვე უნდა განვმარტოთ, რომ ყველაზე ადრეული თურქული საარქივო დოკუმენტი, სადაც ბათუმის სანჯაყი არის ნახსენები 1549 წლით არის დათარიღებული (KKT. RD., 209:71). თუმცა, წყაროების ანალიზით ირკვევა, რომ

² თურქულად არჰავი (Arhavi) ჰქვია. ქართულად და ლაზურად მისი ძველი სახელწოდება არის არჰაბი ასევე ხშირად მოიხსენიებენ, როგორც არჰავე. ზოგი არხოვად მოიხსენიებს. ხელნაწერში, ოსმალური დამწერლობის გათვალისწინებით, შესაძლებელია წავიკითხოთ, როგორც არჰავე, ისე არხოვა. ჩვენ ქართულ ფორმას - არჰავეს ვანიჭებთ უპირატესობას.

ოსმალეთსა და გურიელს შორის საზღვარი გონიოსთან ახლოს, მდინარე ჭოროხზე გადიოდა, ბათუმის სანჯაყის ცენტრი კი გონიში იყო.³ 1556 წლის 3 ოქტომბრით დათარიღებული ცნობის მიხედვით ტრაპიზონისა და ბათუმის სანჯაყების საზღვარი მდინარე ჭოროხზე გადიოდა (Bostan, 2002: 48).

თავდაპირველად ბათუმის სანჯაყი არზრუმის საბეგლარბეგოს შემადგენლობაში ჩანს (Aydin, 1998: 258-260). 1564 წელს ბათუმი როსტომ გურიელმა დაიპყრო, თუმცა იგი მცირე დროის შემდეგ ისევ ოსმალეთის შემადგენლობაში გადავიდა. 1578 წლიდან ირან-ოსმალეთის მორიგ ომამდე ბათუმი არზრუმს გამოეყო და ცალკე საბეგლარბეგო ჩამოყალიბდა. ბათუმის სანჯაყის შექმნის შემდეგ, XVI ს-ის მეორე ნახევარში, გონიოს ნაჰიე, ათინა, ჰემშინი და არხავის ყაზა მას დაექვემდებარა და ბათუმისა და ტრაპიზონის სანჯაყებს შორის საზღვარი მაფავრიზე (დღევანდელი Çayeli-ს ილჩე) გადიოდა (Bostan, 2002: 48; შაშიკაძე, 2023: 17).

აქვე მოვიტანთ ჩვენს მოსაზრებას, ტოპონიმ „ბათუმთან“ დაკავშირებით, რომელიც საკითხის კვლევის დროს გაგვიჩნდა და გამოვთქვით კიდეც. რიგი ფაქტორებისა გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული სახელწოდება არ მოიცავს მხოლოდ ლოკალურ ტერიტორიას, სადაც დღევანდელი ქალაქია გაშენებული (ნავსადგურის მიმდებარე - „ძველი ბათუმი“), არამედ იგი გეოგრაფიული სივრცეა - „მხარე“, არეალი, რომელიც უნდა მოიცავდეს ზღვისპირა ტერიტორიას მდინარე დეხვადან, საფიქრებელია სარფის ზღუდემდე და შედის მდ. ჭოროხის აუზში, როგორც ჩანს სოფელ მირვეთამდე - ისტორიული კლარჯეთის საზღვრამდე (შაშიკაძე, 2024: 10). ამიტომაც არის, რომ მანამდე ბათუმის სანჯაყად მოხსენებული ადმინისტრაციის ცენტრი გონიოა და დღევანდელი ბათუმის ტერიტორია, ზღვის სანაპირო ზოლი ჭოროხიდან მოყოლებული ჩაქვამდე, თითქმის დაუსახლებელი ტერიტორია, თუ არ ჩავთვლით დღევანდელი ნავსადგურის ტერიტორიაზე არსებულ მცირე დასახლებას, გურიელის მმართველობაში რჩებოდა

დღევანდელი ბათუმის მიმდებარე ტერიტორია, ზემოთ ნახსენები ჭოროხის შესართავის ჩრდილოეთი მხარე ოსმალეთის იმპერიამ საბოლოოდ 1703-1704 წლებში დაიპყრო (TT.D 122: A; შაშიკაძე, 2023: 19). აღნიშნული თარიღიდან ბათუმი ცენტრია „ბათუმის სანჯაყისა“.

თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ანკარაში, მიწისა და კადასტრის მთავარი სამმართველოს არქივში ინახება ორი, ჩვენთვის ძალზე საინტერესო - „ბათუმის ლივის“⁴ ვრცელი და „ბათუმის ლივის მოკლე“ დავთრები. ისინი გვამლევენ მნიშვნელოვან ცნობებს კონკრეტული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, დემოგრაფიული, რელიგიური, ეთნიკური მდგომარეობის შესახებ ამა თუ იმ პერიოდში. დოკუმენტები საინტერესოა ლინგვისტური თვალსაზრისითაც. კერძოდ, ენობრივი კავშირების, ეტიმოლოგიური, ონომასტიკური (ტოპონიმების, ანთროპონიმების) და სხვა არაერთი საკითხის შესასწავლად.

„ბათუმის ლივის ვრცელი დავთარი“ მოიცავს დღევანდელ, როგორც მის შესავალ ნაწილშია ნათქვამი - „ახლად დაპყრობილ“ ქალაქ ბათუმის ტერიტორიას და მის შემოგარენში მდებარე თოთხმეტ სოფელს, ზღვის შესართავიდან ჭოროხის ხეობის

³ აღნიშნულ საკითხზე ვრცლად იხ. (შაშიკაძე, 2023: 16-17).

⁴ ლივა არაბული წარმომავლობის ტერმინია, იგივე სანჯაყი/სადროშო.

აყოლებზე მდებარე სოფლებს ბორჩხას ჩათვლით და ისტორიული ჭანეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლის სოფლებს ათინას (ახ. Pazar – რიზეს ილში/პროვინციაში) ტერიტორიის ჩათვლით. ადმინისტრაციულად, ქალაქის შემოგარენის გარდა შედის არჰავეს, ათინას და ჰემშინის ნაპიერები.

არჰავეს აღწერას დოკუმენტში უკავია 43-78-ე გვერდები. მისი მეორე სახელწოდებაა ლაზი (TT.D 122: 43). გეოგრაფიულად მოიცავს მდინარე ჭოროხის შესართავის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ზღვისპირა ტერიტორიას ვიწეს (ახ. Findıklı) ჩათვლით. მასში აღწერილია 70-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. აღწერა კომლობრია. სოფლები თუ მათი უბნები დაფიქსირებულია, როგორც საგადასახადო ობიექტები და ამიტომ ზოგიერთი ტოპონიმი რამდენჯერმე მეორდება. ტოპონიმთა ეტიმოლოგია მთლიანად ლაზური ანუ ქართველურია (ერთეულებში ჩანს ბერძნული გავლენა). ესენია: საკუთრივ არჰავე, სიდერი, კუტუნითი, სუნდურა, ბაშ კისე, კისე, ჩაჩორიანი, ვიწე, საფულვათი, კემშანი, მოცოხორა, აბუ, პაპუფხე, რონდივა, ვერანგი, სუმლე, პაზინი, კოხანვათი, ზატრიკანდო და მცირე ზატრიკანდო, ჰენდევათი, ფართინვათი, პაზინე, კვარვათი (ახ. კვარიათი), ზულუ, კაპისტრო, იაკობითი, ორჭი, პანდოლი, ლაკროზი, ხეფი (ხოფა), ასტორავათი, აბესლაჰა, მესოპოტამია, სიმონავათი (?), შუა მაკრიალო, სარფორი (ახ. სარფი), ანბოლი, კონდრაგისი (?), ფუჩა, ჩაჩორივათი, პერონითი, ხაკუდევათი (?), ჭანეთი, შუა იალობითი (იგივე იაკობითი), ბოჯენა, არჩ[ვ]ეთი, სერჯიხია (?), აბისიჩეთი (?), ბახტა, გონია, ჭალნარი (ახ. ჭარნალი), ჭუჭარევა, წყარითი, მახო, კოსტაჯი, ჯაშა, ჩხალაზენი, მამანათი, მაკრიალი, სახანდორო, კატაფხ[ი], მარადიდი, მირვეთი, ბორჩხა, დაკვარა (შაშიკაძე, 2024: 128-130). აშკარაა, რომ ჭოროხისპირა სოფელთა ნაწილი დღეისთვის გამქრალია. აქვეა აღწერილი „მირილუ შაჰის ჯამათი“ (ჩვენი აზრით სულთნის სათადარიგო ჯარის ნაწილი) და სხვადასხვა შემოსავლები სხვადასხვა ბაჟიდან და უშირიდან (შაშიკაძე, 2024: 130).

აღნიშნულ დასახლებებში მთლიანობაში 3000 კომლია დაფიქსირებული. „დავთარში“ მოცემული კომლთა რაოდენობა პირდაპირ გვაჩვენებს დემოგრაფიულ სურათს. მსგავს შემთხვევებში სამეცნიერო ლიტერატურაში კომლის წევრთა საშუალო რიცხვად სხვადასხვა რაოდენობას განიხილავენ. ზოგი კომლში 5-6 წევრს ითვლის. ზოგი თვლის, რომ რეგიონების მიხედვით 3-დან 7-მდე მერყეობს (Barkan, 1951: 1-26; Göyünç, 1979: 331-348). თუ ჩავთვლით, რომ კომლში საშუალოდ ექვსი კაცი ცხოვრობდა, არჰავეს მოსახლეობა აღნიშნულ დროს დაახლოებით 18 ათასი გამოდის. გარდა ამისა გასათვალისწინებელია მიწისმფლობელობიც, რომლებიც აღწერას არ ექვემდებარებიან.

მოსახლეობა იხდის ისეთ გადასახადებს, როგორიცაა ბენაქი, მუჯერედი, ისფენჯი.

ბენაქი იყო დასამუშავებელ ნაკვეთზე დაწესებული გადასახადი ოსმალეთის იმპერიაში, რომელსაც იხდიდა მუსლიმი, ოჯახის მქონე. იყო ისფენჯზე ნაკლები, ძირითადად შეადგენდა 16 ახჩას. ბათუმის დავთარში 12 ახჩაა. ანალოგიური შინაარსის გადასახადს იხდიდა დაუოჯახებელი მუსლიმი „მუჯერედის“ და არამუსლიმი „ისფენჯის“ სახით. ბენაქი ხშირად გვხვდება დაოჯახებული მამაკაცის აღმნიშვნელ ტერმინადაც.

მუჯერედი იყო დასამუშავებელ ნაკვეთზე დაწესებული გადასახადი ოსმალეთის იმპერიაში, რომელსაც იხდიდა მარტოხელა, დაუოჯახებელი მუსლიმი. ბათუმის სანჯაყში მისი ოდენობაა 6 ახჩა.

ისფენჯი იყო დასამუშავებელ ნაკვეთზე დაწესებული გადასახადი ოსმალეთის იმპერიაში, რომელსაც იხდიდა არამუსლიმი. ძირითადად შეადგენდა 25 ახჩას, იშვიათი გამოწკლისის გარდა. ბათუმის დავთარშიც 25 ახჩაა დაფიქსირებული (ბენაქის და ისფენჯის შესახებ ვრცლად იხ. (შაშიკაძე, მახარაძე, 2011: 35-37)).

აღნიშნული გადასახადების ანალიზი ნათელ სურათს ხატავს ბათუმის ლივის მოსახლეობის რელიგიური მდგომარეობის შესახებ. მაგალითად, კარგად ჩანს, რომ ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილში უფრო ადრე მოიკიდა ფეხი ისლამმა, ვიდრე დასავლეთში. არჰავეში აღწერილ კომლთაგან დაახლოებით 1470 კომლი იხდის ისფენჯის გადასახადს, რაც ნიშნავს, რომ მოსახლეობის ნახევარი ქრისტიანულია (Şaşıkadze, 2022: 692). მდინარე ჭოროხის სიახლოვეს ვხვდებით სრულიად ქრისტიანულ სოფლებსაც. მაგალითად იაღობითი, ბოჩენა, არჩ[ე]ეთი, ბახტა, წყარითი, ჯაშა, კოსტანჯი, ჩხალაზენი, მამანათი, მირვეთი, ბორჩხა, დაკვარა და სხვები (შაშიკაძე, 2024: 187-197; 202-203).

მოსახლეობა ასევე იხდის სანაიბო გამოსაღებს. ეს იყო წესრიგისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის, ადგილობრივი მმართველების მიერ მოსახლეობაში აკრეფილი გადასახადი. ყადის გადასახადი. დამნაშავეები იხდიდნენ ასევე ჯარიმის სახით (შაშიკაძე, 2024: 550). სანაიბო გადასახადი ბათუმის სანჯაყში გადაიხდებოდა კომლზე 9 ახჩის ოდენობით.

ყველა სოფელში ვხვდებით უშრის გადასახადს კილიან ხორბალზე, ფეტვზე, კანაფზე, ხილზე, კაკალზე, ბოსტანზე. უშრი იყო მოსავლიდან აღებული გადასახადი, ნიშნავს მეათედს. უნდა ყოფილიყო მოსავლის მეათედი, თუმცა ხშირ შემთხვევაში მერვედს, მეხუთედს და, ზოგჯერ ნახევარსაც შეადგენდა. უშრი იყო ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გადასახადი ოსმალეთის იმპერიაში, რომელიც შეწერილი იყო სოფლის მეურნეობის ყველა დარგზე (ვრცლად იხ. შაშიკაძე, მახარაძე, 2011: 27-28).

აქვეა გადასახადები საკარმიდამო მიწაზე (თაფუ), სკეზე (თაფლზე), წვრილფეხა საქონელზე, ღორზე, ბადჰავა და საქორწინო გამოსაღები. ეს უკანასკნელი იყო გაუთვალისწინებელი ჯარიმები და გოგოს ან ქვრივის გათხოვების დროს დაწესებული სახაზინო გადასახადი. ბადჰავა თურქულში სპარსულიდან შემოსული სიტყვაა და ნიშნავს ჰაერიდან მოსულს, მოულოდნელს, მუქთას. აღნიშნული გადასახადი წინასწარ გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე იყო დამოკიდებული და სხვადასხვა ტიპის ჯარიმებს აერთიანებდა. მასში შედიოდა აგრეთვე საქორწინო, იგივე საპატარძლო გამოსაღებიც, რომელსაც უხდიდნენ ყადის ქორწინების რიტუალისთვის. საქორწინო გამოსაღები აიღებოდა მხოლოდ იმათგან, ვინც მიწაზე იყო მიმაგრებული და მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა. გლეხის გარდა აღნიშნულ გადასახადს იხდიდნენ ზაიმები (ზეამეთების მფლობელები) და თიმარიოტებიც (თიმარის მფლობელები). უხდიდნენ სანჯაყბეგებს ან ხასის მფლობელებს, იმის მიხედვით თუ ვისზე იყვნენ მიწერილნი (Çağatay, 1947: 506; შაშიკაძე, 2024: 20).

ყველა სოფელში ვხვდებით გადასახადს ღვინოზე (არა ყურძნის წვენზე, როგორც სხვა აღწერებში გვხვდება).

„ვრცელი დავთრის“ სოფლების უმრავლესობაში ფიქსირდება გადასახადი არყის სახედელზე (TT.D 122: 44, 46, 50...). მიუხედავად იმისა, რომ ბევრგან ვხვდებით გადასახადს ყურძნის წვენზე, არაყზე გადასახადი აქამდე არც ერთ ქართულ პროვინციაში არ შეგვხვედრია. ყოველი ასეთი სახდელი 6 ახჩით იბეგრებოდა (შაშიკაძე, 2024: 18).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღწერის დავთარში ფართოდ გავრცელებული სამხედრო ლენების – თიმარების, ზეამეთების და ხასების გარდა, დიდი რაოდენობით ვხვდებით ბაშთინას პირობით გაცემულ მიწებსაც. ბაშთინა მიწისმფლობელობის ფორმაა, მიწის ნაკვეთი ოსმალეთის იმპერიაში, რომელიც მემკვიდრეობით გადადიოდა, თუმცა მიწა სახელმწიფო საკუთრებად რჩებოდა. გაყიდვა-გასხვისება და გაცვლა მფლობელს აკრძალული ჰქონდა. ბაშთინა აქამდე მხოლოდ ბალკანეთში, კერძოდ ბოსნიაში ფიქსირდებოდა (Pakalin, 1971: 170). აღმოჩნდა, რომ ლაზეთშიც იყო გავრცელებული. მსგავსი შემთხვევა ქართულ პროვინციებში არსად დაფიქსირებულა. საკითხი, რა თქმა უნდა, ცალკე შესწავლას საჭიროებს, თუმცა ამის ახსნა რთული არ უნდა იყოს. ბაშთინა ჭანეთის ტერიტორიაზე გვხვდება, რადგან აქაური მოსახლეობა ბერძნული ეკლესიის სამწყსოა და იგივე კანონმდებლობა მოქმედებს, როგორც საბერძნეთისა და ბალკანეთის ტერიტორიებზე, განსხვავებით ოსმალეთის სხვა ქართული ტერიტორიებისაგან, რომელიც სომხურ ეკლესიას ექვემდებარებოდა.

სამხედრო ლენების (თიმარების, ზეამეთების და ხასების) და მათი მფლობელების შესახებ არჰავეს ნაჰიეში ვრცლად არის გადმოცემული „ბათუმის ლივის მოკლე დავთარში“ (TT.D 327: 1, 2, 3, 4, 5....; შაშიკაძე, 2024: 450, 451, 455, 456, 457...).

სოფლების აღწერაში თავიდან მოცემულია კომლთა უფროსების ვინაობა, რაც დემოგრაფიული მდგომარეობის გარდა წარმოდგენას გვიქმნის მოსახლეობის ეთნიკურ სურათზე. ანთროპონიმთა ანალიზი გვაჩვენებს, რომ არხავეს ნაჰიეში მოსახლეობა მთლიანად ლაზურია. ძალიან ხშირად, ამა თუ იმ პირის სახელის და მამის სახელის ქვემოთ ვხვდებით კიდევ ერთ მინაწერს. კვლევის დროს, საკმაოდ დიდი დრო დაგვჭირდა, რომ ამასთან დაკავშირებით გარკვეული აზრი და მიდგომა ჩამოგვყალიბებოდა, რადგან ხელნაწერის სპეციფიურობის გამო მინაწერის ამოკითხვა საკმაოდ რთულია და მისი დაზუსტებაც ძალზე დიდ დაკვირვებას საჭიროებდა. საბოლოოდ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეს მემკვიდრეობითი სახელები უნდა ყოფილიყო. იგივე საგვარეულო სახელი, გვარსახელი, ოჯახის, შტოს, სანათესაოს კრებითი სახელი – როგორც გნებავთ, ისე მოვიხსენიოთ.

მოცემულ პერიოდში ქართველთა შორის გვარების არსებობასთან დაკავშირებით ქართველ მეცნიერებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ამჟამად ჩვენ ამ საკითხს გვერდს ავუქცევთ, მაგრამ ვიტყვით, რომ აღწერაში მოცემული საკმაოდ მრავალი გვარის ერთი ნაწილი უკვე ჩამოყალიბებული ჩანს, როგორც გვარი, ზოგი კი ჩამოყალიბების პროცესშია.

გვარ-სახელთა უმრავლესობა წარმოშობს ტოპონიმს, რომელიც ჩანს, რომ მათი საცხოვრისია. ზოგჯერ პირიქით, საცხოვრისიდანაა ნაწარმოები გვარი.

მოცემული პერიოდის ჭანეთში გავრცელებულია ბევრი ისეთი გვარსახელი, რომელსაც დღეს სამეგრელოში ვხვდებით. უფრო ხშირად საერთო ფუძითა და ლაზური ენისთვის დამახასიათებელი დაბოლოებებით.

არჰავეს ნაჰიეში დაფიქსირებულია -ვა, -ია, -ში, -ანი, -სკირი და სხვა სუფიქსიანი ლაზური მემკვიდრეობითი სახელები. ასეთებია:

არჰავეში - ვანვა, მაგრილანი, ანდიანი, გორდელი, კოსტაგირი, გოგივა...

სიდერი - კუტივა, საკალავა, კვანივა, ჭუკალვა...

სუნდურა - ანდრიანი, სანდავა, თალახვა/თალაყვა..

ბაშ კისე - კუპრავა, შერიანი, სუსანი, ჭანკრევა, ელია...

ჩაჩორიანში - ჩაჩორიანი, კუტივა, ბერანო...
 ვიწე/საფულვათი - მარხოვა, კორტავა, პაპაში...
 ვიწე/კემმანი - პეტრესკირი, კალუვა, ხარა, რონდივა, კახაშანი...
 მოკცოხორა - ბინდვა, კონდივა, რუმიაქი, ჭამოვანი...
 აბუ - კუკაბერე, კუტივა, ანივა, ხარა...
 ვიწე/ვერანგი - ჯღადა (საფიქრებელია, რომ სწორი ფორმა უნდა იყოს ჯღატა),
 ვერანგი, ჭურჭავა, ნოდია...
 კოხანვათი - კოკაფხე, კოკანივა, მანია, თოლდავა, კუტივა, ფართივა...
 ზატრიკანდო - ფელელრა, რონდივა, ჩაჩორიანი, პაპაში ხაზარი/ხარაზი, კუტივა, ვავა,
 ღალატა...
 ფართივათი - ფართივა, ბაჩია, კოკანივა, კალოგირი (გალოგრე)...
 პაზინე - ქეშანია, ფართივა, კოჩივა...
 კვარვათი (კვარიათი) - კუტივა, კუდივა, გელუა, სავასკირი, მირვანი, მაგალი,
 პეტრავა...
 ზულუ - ღალატა, მაგრილი, იანუფხე, ალექსიდი...
 კაპისტრო - ფელელრივა, ლერავა, ჭანი, ხალდი, ფერაფევა...
 იაკობითი - ბაჩია, გოგავა, ბერანი, ლომია, გიდრევა...
 ორჭი - კავალაზი, იანივა, ჭანი...
 კისე/პანდოლი - დათუვა, კოჩივა, ადიანი, პაპილა...
 კისე/ლაკროზი - ჭანისკირი, ლაკროზი, ვანისკირი, ბერანი, ჭანივა...
 სიდერე - გერანავა, კონდივა, სავასკირი, კედაქი, პაპილა...
 ასტორავათი - ნოდია, ჩეფილა, პაპილაყურა, იაკიმისკირი, პაპილანი, პეტრესკირი,
 დევიანი, ხალბაში, იანივადი...
 აბესლაჰა - კუდია, ჩეფილა, ბეგია, ბაჩილა, ბაჩია, გურჯი, კუდავია...
 მესოპოტამია - კუტივა, კუტალია, ანდრია, მელმანა, ჩეჩევა, ჭანიაში, ხარა...
 მაკრიალო - პაპილანი, ლოლია, ანდვანი, კორკოტაფე...
 სარფორი (სარფი) - კუდანივა, სალია, დადივანი, პაპილა...
 ანბოლი - დანივა, ანდვანი, ანდრივა, ხალგია...
 კონდრაგისი - ბერიანი, კონიკი, ზელექი, კორდელი (გორდელი)...
 კისე/ფუჩა - კანდივა, გუგავა/გოგავა, კედაკი...
 ჩაჩორივათი/პერონითი - სალია.. შუა იადობითი - პეტრევანი.. აბისიჩეთი - რუსია...
 გონია - კოკსივა/კოკასივა, მელასკირი, ხარა, კუმოჯანი...
 ჭალნარი (ჭარნალი) - ჩეფი, ბადრია, ბაკურავა...
 მირილუმაჰის ჯემათში - ფაჩვა...
 ეს გახლავთ ნაწილი იმ გვარებისა, რომელიც დაფიქსირებულია „ბათუმის ლივის
 ვრცელ დავთარში“.

დასკვნა:

ადრეული პერიოდის ოსმალური წყაროების ანალიზი ნათლად გვაჩვენებს, რომ არჰავე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ბათუმის სნაჯაყის შემადგენლობაში შედიოდა.

XVIII ს-ის დასაწყისშიც არჰავეს ნაჰიე ბათუმის სანჯაყის დაქვემდებარებაშია. მისი მეორე სახელწოდებაა ლაზი. გეოგრაფიულად მოიცავს მდინარე ჭოროხის შესართავის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ზღვისპირა ტერიტორიას ვიწეს ჩათვლით. მასში აღწერილია 70-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. აღწერა კომლობრივია. ტოპონიმთა ეტიმოლოგია მთლიანად ლაზური ანუ ქართველურია.

არჰავეს ნაჰიეში 3000-მდე კომლია, სადაც დაახლოებით 18 ათასი კაცი უნდა ცხოვრობდეს. ნახევარზე მეტი მოსახლეობისა ქრისტიანულია. ეთნუკურად ლაზები არიან. იხდიან სხვადასხვა სახის გადასახადს, მათ შორის ქრისტიანებისათვის დამახასიათებელს - ისფენჯს, გადასახადს ღორზე, ღვინოზე და არის სახდელზე.

მოსახლეობაში შემორჩენილია -ვა, -ია, -ში, -ანი, -სკირი და სხვა სუფიქსიანი ლაზური მემკვიდრეობითი სახელები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ შუასაუკუნეების შავიზღვისპირეთში არსებობდა ერთიანი მეგრულ-ლაზური ეთნო სოციალური და ეთნო-ლინგვისტური სივრცე, სადაც მემკვიდრეობით სახელწოდებათა მსგავს წარმოებასთან გვევლინა საქმე და რომელმაც სულ მცირე მეთვრამეტე საუკუნემდე მოაღწია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ქართლის ცხოვრება. (1959). ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილი, თბილისი.
- ბატონიშვილი ვახუშტი. (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბილისი.
- შაშიკაძე, ზ., მახარაძე მ. (2011). *აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები*, ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტოასლები გამოსაცემად მოამზადეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ, თბილისი.
- შაშიკაძე, ზ. (2023). *ბათუმის საბოლოო დაპყრობა და ადმინისტრაციული მმართველობის შემოღება ოსმალთა მიერ*, აღმოსავლეთმცოდნეობის მაგნე, ტ. 6, ბათუმი.
- შაშიკაძე, ზ. (2024). *ორი ოსმალური დავთარი ბათუმის შესახებ* (თურქულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზაზა შაშიკაძემ), თბილისი.
- KKT. RD., 209. *Cumhurbaşkanlık Osmanlı Arşivi, Kamil Kepeci Tasnifi, Ruznamçe Defteri*.
- TT.D 122. *Ankara Tapu ve Kadastro Genel Müdürlüğü Arşivi, Tapu Tahrir Defteri*.
- TT.D 327. *Ankara Tapu ve Kadastro Genel Müdürlüğü Arşivi, Tapu Tahrir Defteri*.
- Aydın, D. (1998). *Erzurum Beylebeyliği ve Teşkilatı, Kuruluş ve Genişleme Devri (1534-1566)*, Ankara.
- Barkan, Ö. L. (1951). *Tarihi Demografi Araştırmaları*, Türkiye Mecmuası, X, İstanbul.
- Bostan, H. (2002). *XV-XVI. Asırlarda Trabzon sancağında Sosyal ve İktisadî Hayat*, Ankara.
- Çağatay, N. (1947). *Osmanlı İmparatorluğunda Reayadan Alınan Vergi ve Resimler*, Ankara Üniversitesi Dil ve Tarih Coğrafya Fakültesi Dergisi, cilt 5, sayı 5, Kasım-Aralık.

- Göyünç, N. (1979). *Hâne Deyimi Hakkında*, Tarih Dergisi, XXXII, İstanbul.
- Pakalın, Z. (1971). *Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü*, c. I, İstanbul.
- Şaşıkadze, Z. (2022). *Batum Sancağı'nın Mufasssal Defteri*, XVII Türk Tarih Kurumu (1-5 Ekim 2018) Kongreye Sunulan Bildiriler, c. VII, Ankara.

References:

- kartlis tskhovreba [The Georgian Chronicles]. (1959). Text established according to all the main manuscripts by S. Qaukhchishvili. Vol. II. Tbilisi.
- vakhusht'i bat'onishvili. (1973). *aghts'era sameposa sakartvelosa [Description of the Kingdom of Georgia]*. kartlis tskhovreba [The Georgian Chronicles]. Text established according to all the main manuscripts by S. Qaukhchishvili. Vol. IV. Tbilisi.
- Shashikadze, Z., Makharadze M. (2011). *ach'aris livis vrtseli mok'le davtrebi [The Large and Short Diaries of Adjarian Liva]*, Text, translation, research, comments, and photocopies were prepared for publication by Zaza Shashikadze and Mirian Makharadze, Tbilisi.
- Shashikadze, Z. (2023). *Batumis saboloo dap'qroba da administ'ratsiuli mmartvelobis shemogeoba osmalta mier [The Final Seizure of Batumi and the Establishment of Ottoman Administrative Authority]*, Herald of Oriental Studies, BSU Department of Oriental Studies, VI-2/2023, Batumi.
- Shashikadze, Z. (2024). *ori osmaluri davtari batumis shesakheb [Two Ottoman Defters About Batumi]*, (Translation from Turkish Introduction, Research and Comments Were Added by Zaza Shashikadze), Tbilisi.
- KKT. RD., 209. Türkiye Cumhuriyeti *Cumhurbaşkanlığı Devlet Arşivleri Bakanlığı, Osmanlı Arşivi, Kamil Kepeci Tasnifi, Ruznamçe Defteri [Presidency of the Republic of Türkiye, Directorate of State of Archives, Ottoman archivesi Kamil Kepeci Classification]*.
- TT.D 122. *Ankara Tapu ve Kadastro Genel Müdürlüğü Arşivi, Tapu Tahrir Defteri [Archive of General Directorate of Land Registry and Cadastre in Ankara, Land Register Defter]*.
- TT.D 327. *Ankara Tapu ve Kadastro Genel Müdürlüğü Arşivi, Tapu Tahrir Defteri [Archive of General Directorate of Land Registry and Cadastre in Ankara, Land Register Defter]*.
- Aydın, D. (1998). *Erzurum Beylebeyliği ve Teşkilatı, Kuruluş ve Genişleme Devri (1534-1566) [Erzurum Beylebeylik and its Organization, the Period of Establishment and Expansion (1534-1566)]*, Ankara.
- Barkan, Ö. L. (1951). *Tarihi Demografi Araştırmaları [Historical Demographic Researches]*, Turkish Journal, X, İstanbul.
- Bostan, H. (2002). *XV-XVI. Asırlarda Trabzon sancağında Sosyal ve İktisadî Hayat [Social and Economic Life in the Trabzon Sanjak in the 15th-16th Centuries]*, Ankara.
- Çağatay, N. (1947). *Osmanlı İmparatorluğunda Reayadan Alınan Vergi ve Resimler [Taxes Collected from the Subjects in the Ottoman Empire]*, Journal of Ankara University Faculty of Language, History and Geography, Vol. 5, issue 5, November-December.
- Göyünç, N. (1979). *Hâne Deyimi Hakkında [About the term "Khane"]*, Journal of History, XXXII, İstanbul.

- Pakalın, Z. (1971). *Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü [Dictionary of Ottoman Historical Idioms and Terms]*, Vol. I, İstanbul.
- Şaşıkadze, Z. (2022). *Batum Sancağı'nın Mufassal Defteri [Registry of Description of Batumi Liva]*, Reports Presented at the XVIII Turkish Historical Society Congress (1-5 October 2018), Vol. VII, Ankara.